

შპს ორიენტირი

განვითარების ერთწლიანი(2016-2017წწ) სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში

2017 წლის 12 იანვარს შპს ორიენტირიში გაიმართა შეხვედრა კოლეჯის დირექტორის და ადმინისტრაციის წარმომადგენლების მონაწილეობით, სადაც განიხილეს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პუნქტების შესრულება, და ასევე ახალი, 2017-2018 წწ. სამოქმედო გეგმა. სხდომაზე ბატონ რამაზ მაჭარაშვილმა წარმოადგინა ანგარიში:

1. 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ავტორიზაციისთვის მზადების პროცესი წარმატებული აღმოჩნდა და კოლეჯმა მოიპოვა ავტორიზაცია, რაც დასტურდება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით -# 13, 2016წ. 03.60(დანართი 1)

2. პროფესიულ სტუდენტთა მოზიდვის მიზნით კოლეჯმა აწარმოა სარეკლამო კამპანია, დაიბეჭდა ბუკლეტები, პროფორიენტაციის ფარგლებში კოლეჯს სტუმრობდნენ სხვადასხვა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეები, და სარეკლამო ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე.(რაც დასტურდება დაბეჭდილი ბუკლეტებით, ვებ - გვერდის ინფორმაციით და ფოტომასალით)(დანართი 2)

3. გაუმჯობესდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა და ინვენტარი. კოლეჯმა ავტორიზაციის გზით დაიმატა ახალი, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამები და ასევე მოახდინა არსებული საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება, შექმნილი იქნა პროგრამებით გათვალისწინებული შესაბამისი ინვენტარი და საჭირო მატერიალური რესურსი.(რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და ანგარიშ-ფაქტურებით)(დანართი 1,3)

4. სპეციალური საჭიროების მქონე პირთათვის სასწავლო და ინფრასტრუქტურული პირობები გაუმჯობესდა.(რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით) ამჟამად კოლეჯს სპეც. საჭიროებების მქონე სტუდენტები არ ჰყავს.

5. დაწესებულების ვებ-გვერდის განახლება მოხდა 2016 წლის ოქტომბრიდან მუდმივ განახლებაშია-- შეიცვალა საიტის ძრავი, დიზაინი, დაემატა ადმინისტრატორის პანელის დაცვა. (საიტის ვიზუალური დათვალიერება)

6. მოხდა საბიბლიოთეკო ფონდის განახლება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნების შესაბამისად. (ვიზუალური დათვალიერება, ანგარიშ-ფაქტურა) (დანართი 4)

7. კოლეჯის ბაზაზე პრაქტიკული მეცადინეობების შესაბამისი გარემოს შექმნა- შეიქმნა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი, ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის და ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის მეხუთე საფეხურის პროგრამებისათვის პრაქტიკული მეცადინეობების შესაბამისი გარემოები, რაც დასტურდება ვიზუალური დათვალიერებით და ანგარიშ-ფაქტურით. (დანართი 3)

8. საზოგადოებასთან ურთიერთობის კავშირის გაძლიერება-გაფართოვდა და გამრავალფეროვდა ურთიერთობები დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტებთან, დამატებით გაფორმდა ხელშეკრულებები სხვადასხვა დაწესებულებებთან. (დასტურდება ფოტომასალით და გაფორმებული ხელშეკრულებებით. (იხ. ხელშეკრულებებში)

9. პროფესიულ სტუდენტთა მოტივაციის ასამაღლებლად კოლეჯში ჩატარდა სხვადასხვა სახის სპორტული შეჯიბრებები (შაში, ჭადრაკში, ნარდი , ფეხბურთი), კულტურული ღონისძიებები: პოეზიის საღამო, საახალწლო საღამო, რომლის მოწყობაშიც აქტიურად ჩართულ სტუდენტებს კოლეჯის ადმინისტრაციამ გადასცა საპატიო სიგელები, გაიმართა შეხვედრები ხელოვნების დარგის წარმომადგენლებთან. ჩატარდა სტუდენტური კონფერენციები:

- ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით, თემაზე: წყალი და მისი უნიკალური თვისებები.
- ფარმაცევტის თანაშემწის მეხუთე საფეხურის პროფესიული სტუდენტების მონაწილეობით, თემაზე: არაორგანული ქიმიური ნაერთების გამოყენება მედიცინაში.
- პრაქტიკოსი ექთნების სპეციალობის სტუდენტების მონაწილეობით თემაზე:
- სასუნთქი გზების დაავადებები.
- კბილის ტექნიკოსები მეოთხე საფეხურის სტუდენტების მონაწილეობით თემაზე: კბილის სატექნიკო მასალათმცოდნეობა.

ასევე ჩატარდა ტრენინგი სტუდენტებისა და პერსონალისათვის თემაზე - პირველადი გადაუდებელი დახმარება. (ფოტომასალა) (დანართი 5)

10. პერსონალის ტრენინგები- კოლეჯის პროფესიული მასწავლებლები ესწრებოდნენ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებულ შეხვედრას პროფესიულ მასწავლებლებთან; ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიაში ჩატარდა ტრენინგი თემაზე: სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდები; სკკა-ს მიერ ჩატარებული ტრენინგი : კომპეტენციაზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში(დასტურდება ოქმით და სერთიფიკატებით) (დანართი 6)

11. პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გაფართოება-დაწესებულებამ გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულებები და მემორანდუმები (დასტურდება გაფორმებული ხელშეკრულებებით და მემორანდუმებით)(იხ.ხელშეკრულებებში და მემორანდუმებში)

12. პროფესიული პროგრამების მუდმივი განახლება და სრულყოფა- განახლდა და დამტკიცდა მოდიფიცირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები; ავტორიზაციის გზით დაემატა 2 ახალი პროგრამა- პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება #35,2016წ. 02.11 .(დასტურდება ბრძანებებით და დამტკიცებული პროგრამებით) (დანართი 7)

13. ახალ მოდულურ პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობის მიღება-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ- მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღო კოლეჯის იურისტმა და პროფესორმა მასწავლებელმა ალინა კუპრავამ, რაც დასტურდება სერთიფიკატით. ახალი მოდულური პროგრამების დამატების და განხორციელების მიზნით დაწესებულებაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფები, ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი მოდულური პროგრამების ადაპტაციის მიზნით, ბაგა -ბადის აღმზრდელი პედაგოგის და ფარმაცევტის თანაშემწის პროგრამებზე სამუშაოდ.(დასტურდება ბრძანებით) (დანართი 8)

14. შიდა მხარდაჭერის სამსახურის შექმნა- დაწესებულებაში შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ აქტივობებს.(დასტურდება ბრძანებით, დამტკიცებული ინსტრუქციით, სამოქმედო გეგმით) (დანართი 9)